

ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ოქმი №1

ქ.ლაგოდეხი

21.02.2020 წელი

სხდომის თავმჯდომარე: მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - სალომე ღონღაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები(რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

დღის წესრიგი:

1. ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში .

/მომხს: ს. ღონღაძე/

2. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020 წლის სამოქმედო გეგმის თაობაზე.

/მომხს: ს. ღონღაძე/

3. ინფორმაცია ონლაინ სასწავლო კურსის შესახებ.

/ მომხს მ. სიუკაშვილი/

4. სხვადასხვა

მოისმინეს:

1. ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019 წლის გეგმის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გეგმით გაწერილი აქტივობებიდან ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა იმის გამო, რომ გენდერული ბიუჯეტირება ჯერ კიდევ სიახლეა, ღონისძიებები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვდა, ვერ განხორციელდა.

2. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020 წლის სამოქმედო გეგმის თაობაზე.

საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ მიმდინარე წელს სასურველია გეგმაში ისეთი პუნქტები არ შევიდეს, რომელთა განხორციელება ნაკლებად შესაძლებელი იქნება. ძირითადი აქცენტი გადატანილი უნდა იყოს საზოგადოებაში სტერეოტიპების მსხვრევაზე .

3. ინფორმაცია ონლაინ სასწავლო კურსის შესახებ.

მომხსენებელმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ონლაინ სასწავლო კურსების შესახებ. კურსის თემატიკაა- „გენდერული მეინსტრიმინგის გაცნობა ადგილობრივ დონეზე“. სასწავლო კურსი მიმდინარეობს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის(NALAG), პანევროპული კოალიცია - PLATFORMA და ასოციაციების ქსელის NALAS ორგანიზებით და იგი ითვალისწინებს გენდერული საკითხებით დაინტერესებული პირების გადამზადებას . რამდენადაც კურსი ინგლისურ ენაზეა, მასში მონაწილეობის შესაძლებლობა საბჭოს სამ წევრს მიეცა, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ საბჭოს დანარჩენ წევრებს.


დაადგინეს:

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, სხდომაზე განხილულ საკითხებთან და გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო შეიკრიბოს უახლოეს დღეებში და შეიმუშაოს კონკრეტული ინიციატივები.

სხდომის თავმჯდომარე:


მუნიციპალური გენდერული თანასწორობის

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე -



/ს. ღონდაძე/

მუნიციპალური გენდერული თანასწორობის
საბჭოს მდივანი:



/თ. მუმლაძე/